კონკურსის მეშვეობით ქ. თბილისში, რუსთაველის გამზ. #25–ის (თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი) მიმდებარედ არსებული სკვერების (შენობის მარცხნივ და მარჯვნივ) მოწყობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის საკონკურსო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი #2

ქ. თბილისი 14.07.2014წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

პაპუნა პეტრიაშვილი – საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე – ქ. თბილისის მერის მოადგილე;
გიორგი ქორქაშვილი – სატენდერო კომისიის წევრი – ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსი;
ბორის ჟღენტი – სატენდერო კომისიის წევრი – ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
ლევან ებანოიძე – სატენდერო კომისიის წევრი – ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის ბაღ-სკვერების, მოედნების, ფერდობების, გაზონების, ყვავილნარების, ლანდშაპტების ექსპლუატაციის, აღდგენისა და მოწყობის განყოფილების უფროსი;

დღის წესრიგი:

კონკურსის მეშვეობით ქ. თბილისში, რუსთაველის გამზ. #25–ის (თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი) მიმდებარედ არსებული სკვერების (შენობის მარცხნივ და მარჯვნივ) მოწყობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე 2014 წლის 23 აპრილს გამოცხადებული (საკონკურსო განცხადების #1212) კონკურსის შედეგების განხილვა.

მოისმინეს:

კომისიის წევრის გიორგი ქორქაშვილის გამოსვლა, რომელმაც სხდომის წევრებს მოახსენა, რომ საკონკურსო წინადადების მიღების დასრულებამდე 2014 წლის 15 მაისს 12:00 საათამდე 2 (ორი) კონკურსანტის მიერ იქნა წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება: **1.შპს "ერდო," 2. შპს ,"სევენ სტუდიო".**

განიხილეს:

საკონკურსო კომისიის წევრებმა განიხილეს კონკურსანტების მიერ შემოთავაზებული საკონკურსო წინადადება და მოწვეული ექსპერტ-კონსულტანტების, ქ. თბილისის მერიის არქიტექტურული სამსახურის განყოფილების უფროსი გურამ თავაძისა და ს.ტ.უ.-ს არქიტექტურის ფაკულტეტის სრული პროფესორის გიული გეგელიას, მოსაზრებები პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილ არქიტექტურულ კონცეფციებსა და ესკიზების შესახებ.

განხილვის შედეგად დადგინდა, რომ წარმოდგენილი კონცეფციალური პროექტები, როგორც ვიზუალური ისე ფუნქციონალური თვალსაზრისით არ არის დამაკმაყოფილებელი და არ შეესაბამება არსებულ სიტუაციას.

კომისიამ დაადგინა:

1. წარმოდგენილი კონცეფციალური პროექტებისა და მოწვეული ექსპერტ-კონსულტანტების მოსაზრებების განხილვის საფუძველზე თბილისში, რუსთაველის გამზ. #25–ის (თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი) მიმდებარედ არსებული სკვერების (შენობის მარცხნივ და მარჯვნივ) მოწყობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული კონკურსში ვერ გამოვლინდა გამარჯვებული;
2. რუსთაველის გამზ. #25–ის (თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი) მიმდებარედ არსებული სკვერების (შენობის მარცხნივ და მარჯვნივ) მოწყობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის კონკურსი დასრულდა უარყოფითი შედეგით.
3. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს შპს ,,ერდო,,-ს და შპს ,,სევენ სტუდიო,,-ს.

კომისიის თავმჯდომარე /პაპუნა პეტრიაშვილი/

კომისიის წევრი /გიორგი ქორქაშვილი/

კომისიის წევრი /ზორის ჟღენტი/

კომისიის წევრი /ლევან ებანოიძე /